საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№01/14 „13“იანვარი 2014 წ.

საექსპერტო დასკვნა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. წერეთელის გამზირი №149-ში, შ.პ.ს. ”ზოდი პლიუსი”-ს ტერიტორიაზე, ოთხსართულიანი მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილისათვის.

გადმოცემული მასალა.

ექსპერტიზისათვის წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე დამუშავებული მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. ”თბილქალაქპროექტი-V”, ტერიტორიალური განვითარების სააგენტო, სტუდია ”ბჭე”-ს მიერ 2013 წელს. გრეფილული მასალა შესრულებულია ელექტრონული სახით პროგრამა ”AutoCAD”-ის გამოყენებით.

კონსტრუქციების აღწერა.

შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან (კარკასულ) ვარიანტში. იგი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა ზომებით ღერძებში l×b=112.30×29.5მ. და ამდენად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა მიხედვით ანტისეისმურ ნაკერებად დაყოფილია სივრცულ ბლოკებდ, მოცემულ შემთხვევაში სამ სივრცულ ბლოკად.

ბლოკი ”A”. ზომებით გეგმაში l×b=28.6×29.5მ.
სვეტთა დაკვალვის ბადე გრძივი მიმართულებით შეადგენს:
L=(1×6.4)+(3×7.4)=28.6მ.
განივი მიმართულებით:
B=(1×4.3)+(2×6.2)+(1×6.6)+(1×6.2)=29.5მ.

ბლოკი ”B”. ზომებით გეგმაში l×b=52.5×29.5მ.
სვეტთა დაკვალვის ბადე გრძივი მიმართულებით შეადგენს:
L=(7×7.5)=52.5მ.

განივი მიმართულებით:
B=(1×4.3)+(2×6.2)+(1×6.6)+(1×6.2)=29.5მ.

ბლოკი ”C”. ზომებით გეგმაში l×b=29.6×29.5მ.
სვეტთა დაკვალვის ბადე გრძივი მიმართულებით ”ა^{I}” ღერძის გასწვრივ შეადგენს:
L=(3×7.4)=22.2მ.
”ა”; ”ბ”; ”გ”; ”დ” ღერძების გასწვრივ
L=(4×7.4)=29.6მ.
განივი მიმართულებით:
”14”; ”15”; ”16”; ”17” ღერძების გასწვრივ
B=(1×4.3)+(2×6.2)+(1×6.6)+(1×6.2)=29.5მ.
”18” ღერძის გასწვრივ
B=(2×6.2)+(1×6.6)+(1×6.2)=25.2მ.
ანტისეისმურ ნაკერებს შორის მანძილი სვეტების ცენტრებს შორის 80სმ.
საპროექტო შენობის სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:
-ორი მიწისქვეშა სართული სიმაღლით h=315სმ.
(ნიშნულებში: (-6.4)-(-3.25);(-3.25)-(-0.10მ.)).
-ერთი მიწისზედა სართული სიმაღლით h=420სმ.
(ნიშნულებში: (-0.1)-(+4.10მ.)).
-ორი მიწისზედა სართული სიმაღლით h=390სმ.
(ნიშნულებში: (+4.10)-(+8.0მ.); (+8.0)-(11.3მ.0.
-ერთი მიწისზედა სართული სიმაღლით h=330სმ.
(ნიშნულებში: (+11.3მ.-+14.6მ).
სამივე ბლოკის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია იდენტურად. სვეტების ძირითადი რაოდენობა შიდა სივრცეში წრიული მოხაზულობისაა, -0.1მ. ნიშნულამდე დიამეტრით d=65სმ. ნიშნულებში (-0.10) ÷ (14.60მ.) განივი კვეთებია d=55სმ. პერიმეტრზე განლაგებული სვეტების განივი კვეთები მიწისქვეშა ნაწილში შეადგენს b×h=50×50სმ.
სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელებიანი) ფილები სისქით δ=18სმ. წიბოების (რიგელების) განივი კვეთები l=7.4÷7.5მ. სიგრძის მალებისათვის b×h=40×60სმ.-ია; ხოლო l=6.2÷6.6მ. სიგრძის მალებისათვის b×h=40×50სმ.
შენობის ზედნაშენის საძირკვლებად გამოყენებულია წერტილოვანი საძირკვლები (ძირის სიბრტყის გეგმითი ზომებით l×b=160×160სმ.) და მონოლითური რკინაბეტონის შემკრავი კოჭები, განივი კვეთებით b×h=70×60სმ. და b×h=40×60სმ. წერტილოვანი საძირკვლები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, ქვიშაქვებზე, რომელთა წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C =80კგძ/სმ^2.

ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ბეტონის სიმტკიცის საპროექტო კლასია B25.

შენიშვნები:

პროექტის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელია ითქვას რომ იგი შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე. გრაფიკული მასალა მდიდარია და სრულად ასახავს მაღალი ხარისხის მშენებლობისათვის საჭირო ყველა დეტალს, მხოლოდ ამასთან ერთად გვაქვს შენიშვნებიც, რომელთა გათვალისწინება მხოლოდ გააუმჯობესებს პროექტის ხარისხს. კერძოდ:
-პროექტში უნდა იყოს მითითებული ±0.00მ. ნიშნულის ქვემოთ არსებული კონსტრუქციებისათვის გეოდეზიური ნიშნულები.

დასკვნა:
შენიშვნების გათვალისწინებით პროექტს მიეცემა რეკომენდაცია განსახორციელებლად.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/